585/1963/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 16 (213) 10 ივნისი 1963 წელი


9048

## სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

### განყოფილება პირველი

261. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოციალური უზრუნველყოფის დარგში თანამშრომლობის თაობაზე საბჭოთა კავშირ-უნგრეთს შორის დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

### განყოფილება მეორე

262. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საპატიო ნიშნის“ ორდენით მწერალ ა. დ. ჩურკინის დაჯილდოების შესახებ.

263. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საპატიო ნიშნის“ ორდენით მწერალ მავრ იანკას (ი. მ. ფედოროვის) დაჯილდოების შესახებ.

264. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით ამხ. ე. ა. ასრატიანის დაჯილდოების შესახებ.

265. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით აკადემიკოს მ. ნ. ტიხომიროვის დაჯილდოების შესახებ.

266. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ბ. სევერნის დაჯილდოების შესახებ.

267. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. პ. გეტმანისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

268. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით ამხ. მ. პ. სტოკოლოსის დაჯილდოების შესახებ.

269. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით ამხ. მ. ვ. სიდელნიკოვას დაჯილდოების შესახებ.

270. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ლუქსემბურგის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლ. რისმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ნიდერლანდების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ე. სტარ ბიუსმანმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ.

## საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

### განყოფილება პირველი

271. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.
272. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.
273. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ო. დ. ჭინჭალაძის დანიშვნის შესახებ.

### განყოფილება მეორე

274. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ნ. ი. გუდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
275. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. მ. დოლიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
276. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ი. ხოსროშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

### განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**261** **სოციალური უზრუნველყოფის დარგში თანამშრომლობის თა-ობაზე საბჭოთა კავშირ-უნგრეთს შორის დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სოციალური უზრუნველყოფის დარგში თანამშრომლობის შესახებ, ხელმოწერილი ბუდაპეშტში 1962 წლის 20 დეკემბერს, **რატიფიცირებულ იქნას.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 31 მაისი.
№ 1391-VI.

## განყოფილება მეორე

### გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**262** **„საპატიო ნიშნის“ ორდენით მწერალ ა. დ. ჩურკინის დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა პოეზიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით პოეტი ალექსანდრე დიმიტრის ძე **ჩურკინი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 28 მაისი.
№ 1386-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 263 „საპატიო ნიშნის“ ორდენით მწერალ მავრ იანკას (ი. მ. ფედოროვის) დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი **მავრ იანკა** (ივანე მიხეილის ძე ფედოროვი) დაჯილდოვდეს „**საპატიო ნიშნის**“ ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 28 მაისი.
№ 1387-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 264 შრომის წითელი დროშის ორდენით ამხ. ე. ა. ასრატიანის დაჯილდოების შესახებ

ფიზიოლოგიის მეცნიერების განვითარების დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ეზრას ასრატის ძე **ასრატიანი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 30 მაისი.
№ 1389-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 265 ლენინის ორდენით აკადემიკოს მ. ნ. ტიხომიროვის დაჯილდოების შესახებ

ისტორიული მეცნიერების განვითარებასა და საბჭოთა ისტორიკოსთა კადრების მომზადებაში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით აკადემიკოსი მიხეილ ნიკოლოზის ძე **ტიხომიროვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 31 მაისი.
№ 1390-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 266 შრომის წითელი დროშის ორდენით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ბ. სევერნის დაჯილდოების შესახებ

ასტროფიზიკის მეცნიერების დარგში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ანდრია ბორისის ძე **სევერნი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 1 ივნისი.
№ 1398-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 267 ამხ. ა. პ. გეტმანისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კვერცხის წარმოების გადიდებასა და თვითღირებულების შემცირებაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის ყირიმის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „იუჟნის“ მეფრინველეობის ბრიგადის ბრიგადირს ალექსანდრა პავლეს ასულ **გეტმანს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 1 ივნისი.
№ 1399-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 268 ლენინის ორდენით ამხ. მ. პ. სტოკოლოსის დაჯილდოების შესახებ

კვერცხის წარმოების გადიდებასა და თვითღირებულების შემცირებაში დიდი წარმატებებისათვის ყირიმის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „იუჟნის“ ფრინველის მომვლელი ამხ. მარიამ პეტრეს ასული **სტოკოლოსი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 1 ივნისი.
№ 1400-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 269 შრომის წითელი დროშის ორდენით ამხ. მ. ვ. სიდელნიკოვას დაჯილდოების შესახებ

კვერცხის წარმოების გადიდებასა და თვითღირებულების შემცირებაში დიდი წარმატებებისათვის ყირიმის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „იუჟნის“ ფრინველის მომვლელი მართა ვასილის ასული **სიდელნიკოვა** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 1 ივნისი.
№ 1401-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 270 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

1. გოჰარიკ ამბარცუმის ასულ **ისპირიანს** — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ფოკა;
2. ასტღიკ ეგიზარის ასულ **კარახანიანს** — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ყაურმა;
3. ნუცა მიხეილის ასულ **კვაჭანტირაძეს** — კოლმეურნეობა „ჭუბურხინჯის“ წევრს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონი;
4. ალექსანდრა შირიფის ასულ **ლაზბას** — XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ, გუდაუთის რაიონი;
5. ლუბა იოსების ასულ **ლევიაშვილს** — დიასახლისს, ქალაქი მიხა ცხაკაია ცხაკაიას რაიონი;
6. ვარდანუშ არტაშას ასულ **მინასიანს** — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი მოდეგა;
7. ზინაიდა ბოგოსის ასულ **ჩამიანს** — კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 3 ივნისი.
№ 1404-VI.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## განყოფილება მესამე

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ლუქსემბურგის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლ. რისმა

ა. წ. 31 მაისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ლუქსემბურგის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლეონ რისი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ლ. რისს. საუბარს ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი.

* * *

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ნიდერლანდების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ე. სტარ ბიუსმანმა

ა. წ. 4 ივნისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ნიდერლანდების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ედუარდ სტარ ბიუსმანი, რომელმაც გადასცა თავის რწმუნების სიგელები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ე. სტარ ბიუსმანს. საუბარს ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი.

* * *

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურში მოპოვებული წარმატებებისათვის და საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ჩინებული მაჩვენებლებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 27 მაისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით დააჯილდოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების 146 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის **წითელი ვარსკვლავის** ორდენით დაჯილდოებულია 60 კაცი, მედლით **„საბრძოლო დამსახურებისათვის“** — 86 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ (№ 23, 1963 წლის 5 ივნისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

## ცნობა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ

1963 წლის 26 მაისს გაიმართა კავშირის საბჭოს არჩევნები აზერბაიჯანის სსრ ნახჭევნის № 721 საარჩევნო ოლქში.

კავშირის საბჭოს დეპუტატად ნახჭევნის № 721 საარჩევნო ოლქიდან არჩეულია ამხ. ნისახანუმ ბალაკიში ყზი **მირზოევა**, ნახჭევნის ასსრ ჯულფის რაიონის ვანანდის სასოფლო საუბნო საავადმყოფოს გამგე.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 271 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 6 აპრილის ბრძანებულებისა „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების წარმოების უფლების მინიჭების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი ცვლილებები:

25 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. გამომძიებელი ნიშნავს პირს, რომელიც კანონით უფლებამოსილია აწარმოოს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ე. ი. პროკურატურის გამომძიებელი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამომძიებელი, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამომძიებელი“.

მუხლები 125, 126 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 125. **წინასწარი გამოძიების ორგანოები**

სისხლის სამართლის საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის გამომძიებლები, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამომძიებლები და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამომძიებლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 126. **დანაშაული, რომელზეც სავალდებულოა წინასწარი გამოძიების წარმოება და ქვემდებარეობა**

წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა ყველა საქმეზე, გარდა იმ დანიშნულებისა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95 I ნაწ., 99, 112, 137 I ნაწ., 138, 168, 172 I ნაწ., 173, 175-181, 216-223, 228 I და III ნაწ., 234, 235, 246 მუხლებით, რომლებზეც წინასწარი გამოძიება წარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის სასამართლო ან პროკურორი.

წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა ყველა საქმეზე ისეთ დანაშაულთა შესახებ, რაც ჩადენილია არასრულწლოვანთა ან იმ პირთა მიერ, რომელთაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი უფლება დაცვაზე.

საქმეებზე ისეთ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 72, 75, 78, 78[1], 81-83, 86, 87, 96[1], 97, 102[1], 103-109, 116-120, 123, 125, 127-134, 137 II და III ნაწ., 139-149, 159-161, 163, 163[1], 166, 182-184, 186-196, 199, 200, 207-209, 224, 227, 231, 233, 236, 244, 245, 247, 250, 251, 256-276, 277 „დ“ და „ე“ პუნქტებით, 278-287 მუხლებით და ყველა საქმეზე ისეთ დანაშაულთა შესახებ, რაც ჩადენილია არასრულწლოვანთა ან იმ პირთა მიერ, რომელთაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო თვითონ არ შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი უფლება დაცვაზე, წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის ორგანოების გამომძიებლები, ხოლო საქმეებზე იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 65-71, 73, 74, 76, 77, 79, 80, 84, 85, 89 მუხლებით და 277 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით — აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამომძიებლები.

საქმეებზე იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88, 91-93, 95 II ნაწ., 96, 98, 100-102, 110-115, 121, 122, 124, 126, 135, 136, 150-158, 162, 164, 165, 167, 169-171, 172 II ნაწ., 174, 203, 204, 210-215, 228 II ნაწ., 229, 230, 232, 237-243, 248, 249, 252-254 მუხლებით წინასწარი გამოძიება წარმოებს აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამომძიებლების მიერ.

საქმეებზე იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94 მუხლით, წინასწარი გამოძიება წარმოებს პროკურატურის გამომძიებლების მიერ, ხოლო თუ ეს დანაშაული გამომჟღავნებულია მილიციის ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შედეგად, — აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამომძიებლების მიერ.

საქმეებზე იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 90, 90[1], 197, 198, 201, 202,

205, 206 მუხლებით წინასწარი გამოძიება წარმოებს პროკურატურის გამომძიებლების მიერ და აგრეთვე იმ ორგანოს მიერ, რომლის საგამომძიებლო ქვემდებარეობას ეკუთვნის დანაშაული, რომელთან დაკავშირებით აღძრული იყო საქმე".

2. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1963 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 29 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 272 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

რესპუბლიკის კინემატოგრაფიის განვითარებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცოს იმ ორგანიზაციათა და საწარმოთა ნუსხა, რომლებიც უნდა გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 4 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 273 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ო. დ. ქინქლაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ოთარ დანიელის ძე **ქინქლაძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 4 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**274 კომპოზიტორ ნ. ი. გუდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპოზიტორი ნიკოლოზ ივანეს ძე **გუდიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1963 წლის 28 მაისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**275 ამხ. ი. მ. დოლიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით, მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის დარგში დამსახურებისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს იოსებ მალაქიას ძე **დოლიძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1963 წლის 28 მაისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**276 ამხ. ს. ი. ხოსროშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის სიღნაღის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოოს სამმართველოს კომიტეტის მდივანი ამხ. სერგი ეგნატეს ძე **ხოსრო-**

შვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 28 მაისი.

## განკოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 29 მაისის ბრძანებულებით დააჯილდოვა **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით 345 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 44 |
| ქ. გორიდან | | 5 |
| ქ. რუსთავიდან | | 25 |
| გორის | რაიონიდან | 13 |
| გურჯაანის | „ | 9 |
| ზესტაფონის | „ | 22 |
| თეთრიწყაროს | „ | 74 |
| მესტიის | „ | 32 |
| წყალტუბოს | „ | 2 |
| ყვარლის | „ | 88 |
| ცხაკაიას | „ | 21 |

## განმარტება

1963 წლის 30 მაისის № 15 „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უწყებებში“ 253-ე მუხლის მე-15 პუნქტი უნდა იკითხებოდეს: „გიორგი ალექსანდრეს ძე ხოსრუაშვილი“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.